# საქართველო, ახმეტის მუნიციპალიტეტის
# ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

KA000069473349817

9900 ქ. ახმეტა, რუსთაველის ქ N49 ტელ:+995 349 22 22 09; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: [illegible]

№ 29

20 / აპრილი / 2017 წ.

## განკარგულება

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხული სოფელ ომალოს (თუშეთი) ტერიტორიაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N 50.26.33.402 , ფართობი- 382 კვ.მ.) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის (აღნაგობის) უფლებით უსასყიდლოდ ერთი წლის ვადით გაცემაზე თანხმობის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის,122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის,მე-4 და მე-5 პუნქტების, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „ მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქონის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესები"-ს 21-ე და 22-ე მუხლების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას მის საკუთრებაში რიცხული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N 50.26.33.402, ფართობი-382 კვმ) პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო აღნაგობის უფლებით საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის გაცემაზე
2. სარგებლობის უფლების გაცემა განხორციელდეს ერთი წლის ვადით გადაცემულ მიწის ფართობებში წყალმომარაგება-საკანალიზაციო სისტემების მშენებლობის მიზნით.
3. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე
4. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N41)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თამარ ყურაშვილი